GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 155
თარიღი: 29 05 2014 წ.

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 9 14 00319057

27/05/2014

**საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)**
**დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს**
**მის: თბილისი, რაზმაძის ქ. 15**
**ტელ: (+995 32) 222 29 43**

**ბატონო სერგი,**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2014 წლის 13 მაისის N317 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №282384, 14.05.2014) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე მუხლების შესაბამისად გაცნობებთ, რომ 2011 წლის დირექტორების სერტიფიცირების კონკურსის შედეგად გამოვლინდა 416 სერტიფიცირებული დირექტორობის კანდიდატი.

საქართველოს მასშტაბით სერტიფიცირებული (ასევე სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეული) დირექტორი ამჟამად არის 7 სკოლაში, რომლებმაც 2011 წელს გაიარეს შესარჩევი კონკურსი.

იმ კანდიდატებს, რომლებმაც 2013 წელს წარმატებით გაიარეს დირექტორების სერთიფიცირების კონკურსი, სერტიფიკატები უკვე გადაეცათ. თუმცა, სკოლის დირექტორთა შესარჩევი კონსკურსი მოიცავს ორ ეტაპს: სერტიფიცირებასა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის კანდიდატების ასარჩევად წარდგენას. ამ ეტაპზე, სერტიფიცირებული დირექტორობის კანდიდატების საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ასარჩევად წარდგენა ჯერ არ განხორციელებულა.

ასევე გაცნობებთ, რომ სკოლის დირექტორთა სერტიფიცირების პროცესი დასრულებული არ არის. ამ ეტაპზე იგეგმება იმ პირებთან გასაუბრება, რომლებმაც 2014 წელს წარმატებით დაძლიეს ტესტირების ეტაპი. ამ გარემოებიდან გამომდინარე, საჯარო სკოლების სერტიფიცირებული დირექტორებით დაკომპლექტების კონკრეტული ვადის დათქმა შეუძლებელია. ამასთანავე, სამინისტრო არ აკომპლექტებს საჯარო სკოლებს

სერტიფიცირებული დირექტორებით, არამედ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ის წარუდგენს სამეურვეო საბჭოს სერტიფიცირებულ კანდიდატებს, რომელიც თავის მხრივ ირჩევს მათ შორის სასურველს.

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაფუძნებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. გამომდინარე აქედან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ„ საქარველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საჯარო სკოლა სამინისტროში ათანხმებს საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდს, სადაც განსაზღვრულია სკოლის დირექტორის თანამდებობრივი სარგო. სხვა სახის რეგულაცია სერტიფიცირების კონკურსით გამოვლენილი საჯარო სკოლის დირექტორის შრომის ანაზღაურების შესახებ დადგენილი არ არის.

განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ირაკლი კოპალიანი